სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-041149

ქ. თბილისი 18 ივნისი 2018

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის მაგისტრანტ ეთერ ივანელაშვილისათვის კვლევის ჩატარების უფლების მიცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის რექტორის, გია კავთელიშვილის 2018 წლის 11 ივნისის 01-09-36/3041 მიმართვისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის მაგისტრანტ ეთერ ივანელაშვილს, რომელიც მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე – „საჯარო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტრუქტურა და მართვა“, მიეცეს კვლევის ჩატარების უფლება სტუ-ის მმართველი ორგანოს წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს თითო წევრთან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**